

ქ.თბილისი

2018 წლის 5 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 5 ნოემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის ოქმი, მთავარი მსაჯის ი. ჭანუყვამისა და კიდის მსაჯის ქ. მოდებაძის მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 31 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ლელო“-სა თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „ლელო“-ს მწვრთნელი თორნიკე ბუბუტიევილი - მსაჯების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 1.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლელო“-ს მწვრთნელი თ. ბუბუტიევილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1,19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდება ამავე პუნქტით განსაზღვრული სანქცია.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.2 პუნქტი და კლუბ თბ „ლელო“-ს ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/